ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2278797

ნომერი: AR1353365

თარიღი : 30.10.2015

გაცემის თარიღი : 04.11.2015

გაცნობის თარიღი : 06.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , ნაკვეთი 02/223 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/132) / ქალაქი თბილისი , შესახვევი შანდორ პეტეფის (წულუკიძის) III , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ღარიბაშვილი პ/ნ 01024070907
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე ბანკომატის მოწყობის და არსებული ვიტრაჟის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩა, ნაკვეთი 02/223/ ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/132)/ქ. თბილისი, შესახვევი შანდორ პეტეფის (წულუკიძის) III #15, შ.პ.ს. "მშვილდოსანი"–ს კუთვნილი ფართის ფასადზე ბანკომატის მოწყობას და არსებული ვიტრაჟის რეკონსტრუქციის განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015594909 23/10/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.17.10.002.231; საპროექტო ფოტომონტაჟი, იჯარის ხელშეკრულება, ქვეიჯარის ხელშეკრულება, მესაკუთრის თნხმობა, მინდობილობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩა, ნაკვეთი 02/223/ ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/132)/ქ. თბილისი, შესახვევი შანდორ პეტეფის (წულუკიძის) III #15, შ.პ.ს. "მშვილდოსანი"–ს კუთვნილი ფართის ფასადზე ბანკომატის მოწყობას და არსებული ვიტრაჟის რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.